თემა 2

ის - ეს - ეგ

этот, тот, то

ამოცანები:

- ვასწავლოთ ქართულის, როგორც მეორე ენის შემსწავლელ მოსწავლეებს, როგორ დასვან კითხვები მათ გარშემო არსებული საგნების შესახებ.
- ისწავლონ პასუხების გაცემა მხოლობითში მდგარი არსებითი სახელების გამოყენებით.
- ისწავლონ განსხვავება ჩვენებით ნაცვალსახელებს - ***ის, ეს, ეგ*** - შორის.
- ისწავლონ სკოლაში არსებული საკლასო ნივთების სახელწოდებები.

გაკვეთილის თემა:

გიორგი თავის დას - ლიზას ასწავლის სკოლაში არსებული საკლასო ნივთების სახელებს, რომლებიც მას სწავლისას გამოადგება. ლიზა საკმაოდ გაცნობიერებულია და ბევრ შეკითხვას სვამს სხვადასხვა ნივთის სახელწოდების შესახებ.

ლექსიკა	ძირითადი ფრაზები/წინადადებები
• ფანქარი • კალამი • ფლომასტერი • სახაზავი • საშლელი • ფურცელი • წიგნი • რვეული	• ეს რა არის? • ეს წიგნია. • ეგ რა არის? • ეგ ფანქარია. • ის რა არის? • ის საშლელია.

კარტები-ნახატები:

1. ფანქარი
2. კალამი
3. სახაზავი
4. საშლელი
5. ფურცელი
6. წიგნი
7. რვეული
8. ეს - ეგ - ის სისტემა ნახატში.